საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი აპრილის 9

1921 წ.

№ 33

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

გაზეთ
„სოციალისტ-ფედერალისტი“-ს
კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიჰმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში დაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

ძმები: გრიგოლ ბაგრატ და შიო პოლიევქტოს ძე კვიცარიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ რომ აპრილის 10 ს, კვირას, 2 ს. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი მათი დაუვიწყარი ძმის, სტუდენტ-გვარდიელის,

**კონსტანტინე (კოტე) პოლიევქტოს ძე კვიცარიძის**

საფლავზე—მისი სულის მოსახსენებლად. 750

[illegible]ბათს, აპრილის 9-ს 11 საათზე დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის გარდაცვალებისა, წირვა და პანაშვიდი

**გიორგი (გიგო) ალექსანდრეს ძის მგალობლიშვილი**

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით აღჭურვილნი: მეუღლე თამარა ალექსანდრეს ასული, შვილები ნინო და მაიკო მგალობლიშვილები. 747

მეუღლე ალექსანდრე სამსონ ძე შვილებით და ვით, გიორგი, ვლადიმერ, ალექსანდრეს ძენი შვილიშვილები დიმიტრი და შურა ხმალაძეები და რძლები თამარა და სოფიო ხმალაძისანი აუწყებენ ნათესავს და ნაცნობს, რომ კვირას, აპრილის 10-ს. გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ნიკოლოზის ეკლესიაში

**ქეთევან ივანეს ასული ხმალაძისა**

სულის მოსახსენებლად. 756

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე აუწყებს საზოგადოებას ძვირფას მასწავლებლის წრის რეჟისორის

**კოტე ნიკოლოზის ძე მათიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალვა კვირას ამა წლის აპრილის 10. 753

სახელმწიფო დრამის თეატრის დირექცია, ორკესტრი და მსახიობნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ მსახიობისა და სახალხო სახლის რეჟისორის

**კოტე მათიაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, აპრილის 9 ს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა კვირას, აპრილის 10-ს 12 საათზე ვერის სასაფლაოზე ქვაშვეთის ეკლესიიდან წირვისა და პანაშვიდის შემდეგ. 8

აპრილის 10 ს ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წლის თავზე პანაშვიდი განსვენებულ

**ელენე სიმონის ასულის კლდიაშვილის**

რასაც აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დედა ელისაბედ კონსტანტინეს ასული კლდიაშვილისა და მარიამ სიმონის ასული გელოვანისა და სიძე სამსონ ჯანსოყის ძე გელოვანი. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე. 754

დამწუხრებული მეუღლე მისი ცოცხა მიხეილის ასული შვილით მარგოთი გრიგოლიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებთ რომ კვირას, აპრილის 10-ს გადახდილი იქნება წირვა პანაშვიდი უძვირფასესი მეუღლის

**სერაფიონ მალიტონის ძე გრიგოლიასი**

სულის მოსახსენებლად. დასაწყისი შუადღის 1 საათზე. 751

## ფურცლები

1.

**ამიერ-კავკასიის ორიენტაცია.**

საბჭოთა სისტემის აღიარება საქართველოში იწვევს ძირითადი ხასიათის ცვლილებებს ჩვენს საშინაო ცხოვრებში. ინგრევა და ილუპება ყველა ის რასაც აღზრდით და ისტორიით შევეჩვიეთ, ცხოვრების სასტიკს სინამდვილეს უნდა დაუახლოოთ ის ბრწყინვალე იდეები, რომელიც აღფრთოვანებდა ჩვენს შეგნებას, ჩვენს სიყვარულს და ბრძოლას.

გაამტყუნებს თუ არა ჩვენს წმიდათა წმიდათ ცხოვრება, შევსძლებთ თუ არა ხალხს გადაუშალოთ ის სამოთხე, რომელსაც უქადაგებდით?—ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს ყოველივეს.

ახალს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივიღებთ თუ ძველებს უარვყოფთ, თუ დავანგრევთ ფეტიშებს, მრავალ ჩვეულებას და ადათებს. ეს ნგრევა ძველი წყობილებისა—თავდებია ახალი შექმნისა, მაგრამ ჩვენ მაინც ერთგვარი სიფთხილე გვმართებს ზოგი დიდი საკითხების გადაწყვეტის დროს, არის ზოგიერთი უფლებრივი ნორმები ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში მიღებული, ხალხის მიერ შესისხლხორცებული, უზენაესი ხასიათის, დამფარავი ყველა საშინაო დიდი საკითხებისა, რომელსაც ქმნის არა მარტო მშობელ ხალხის კოლექტიური ნებისყოფა, არამედ რომლის ცერემონიაშიაც მონაწილეობს მრავალი უცხო სახელმწიფოც, აი ასეთი უზენაესი ნორმის ერთის ხელის დაკვრით მოშლა—შეუძლებელია. ეს უზენაესი ნორმა გახლავსთ ამ ჟამად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი.

ვინ შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობა? მენშევიკებმა?—არა, ფედერალისტებმა?—არა, საქართველოს დამოუკიდებლობა შექმნა ყველამ, მთელმა ჩვენმა ხალხმა, დიდმა, პატარამ, ქალმა, ვაჟმა, მიწის მუშამ, ხელოსანმა, მხატვარმა, მქედელმა. საქართველოს დამოუკიდებლობა—დღევანდელ ყოველ ქართველის სულია, გრძნობაა, იმედია, სასოებაა. კიდევ მეტი, საქართველოს დამოუკიდებლობას მტკიცე ბეჭედი დაასო ევროპის მრავალმა სახელმწიფომ, საქართველოს დამოუკიდებლობას ახის ლენინის, რუსის ხალხიც მეჭედიც, ესე იგი, საქართველო—საერთაშორისო ღირებულების სუვერენული სახელმწიფოა და არავის არ აქვს უფლება ამ სახელმწიფოს ძირი გამოუთხაროს, საფუძველი შეუმჩატოს სიმაგრენი მოუშალოს.

არიან ჩვენში ადამიანები, რომელდაც ყოველივე ეს მიაჩნიათ უმნიშვნელო ფაქტად, ზოგიერთი ამათგანი ხშირად იმ დიდი რევოლუციონერის სახელსაც ეფარება, რომელსაც ლენინი ეწოდება, მაგრამ იციან თუ არა მათ, რომ ლენინს ერთხელაც არ მოსვლია თავში საქართველოს სუვერენობას ააგლიჯოს ის ბეჭედი, რომელიც მან ყველაზე ადრე დაასვა საქართველოს? ვინ არ იცის და არ იცნობს ლენინის იმ ტელეგრამას, რომლითაც იგი საქართველოს რევკომს მოაგონებდა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის განსაკუთრებულ ხასიათს.

ჩვენი ხალხის შეგნება აღზრდილია საქართველოს სუვერენობასთან. ჩვენ შეგვიძლია დღეს დავამსხვრიოთ საქართველოს დამოუკიდებლობის კარები, მაგრამ ჩვენი ხალხი და მისი შვილები ჩვენი ნაჯახის ყოველ ცემას უთვალთვალებს და ნაჯახის ყოველ ტრიალს ცრემლად და ბოლმად დაიგუბებს თუ ნაჯახის მუშაობა დაანგრევს ქართველ ხალხის საწუკვარს და მე დღეს ვიცი, ვიცი თუ ვცხოვრობ ხალხთან და ხალხში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ყოველ ჩვენი მუშის ტვინი და სულია, ამ იდეას ვერ წავართმევთ ხალხს თუნდაც ნაკუწ-ნაკუწად ვაქციოთ მისი ფიზიკური სხეული.

დიახ, ჩვენ აქ გვქონია დიდი სიფთხილე. სამწუხაროდ, ეს სიფთხილე არა ჩანს რუსულ გაზ. „პრავდა გრუზიი“-ში. ამ გაზეთში იწყება წერილების წყება ნაცნობ ამიერ-კავკასიის ორიენტაციის სასარგებლოდ, ჩნდებიან ძალები, რომელნიც ცდილობენ შექმნან ამიერ-კავკასიის და კავკასიის ორგანოები და ამგვარად გაიოლკიონ ის კედლები, რომელნიც ქართველ ხალხს აუშენებია.

ჩვენ ვიცით. ძალიან კარგადაც ვიცნობთ იმ არგუმენტებს, რომლითაც ჩვენს დამოუკიდებლობას ებრძოდნენ „რუსოტიახოვის“ (ლენინის ტერმინოლოგიით) ძალები, ესენი გამოგვიჭედეს თავის დროზე, რომ დამოუკიდებლობა აბსურდია, კოოპერაცია უნდა იყოს ამიერკავკასიის, ვალუტა უნდა იყოს რუსეთი, რკინის გზა უნდა დარჩეს კავკასიის, ასევე ტელეგრაფი, სასამართლო და სხვა და სხვა.

განა მოლოდამაც არ იცის, რომ რუსეთის დამოუკიდებლობა ოდნავადაც ბელს არ უშლის რკინის გზა დაუკავშიროს ბერლინს, პარიზს, რომ ყოველი ქვეყანა დამოუკიდებელია უკლებრივად ამავე დროს, როგორც დამოუკიდებელი უკავშირდება მრავალ საქმეში, მაგრამ ამ კავშირით არასოდეს გაუქარწყლებიათ საკუთარი ორგანოები უცხო ორგანოებით.

ჩვენთვის არ არის სეპარაცია ფეტიში პირიქით, ყველასათვის ცხადია ამ საკითხზე ჩვენი აზრი, მაგრამ ოთ შეხედულებაც არ უნდა გვქონდეს საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციებზე, საქართველოს სახელმწიფოებრივ ორგანოებს ჩვენ არ შეგვიძლიან სამარე გაუთხაროთ, ჩვენ ამისი არც უფლება გვაქვს, არც მოვალეობა.

ყველა, ვისაც სურს საქართველოს პოლიტიკურ სახეობაზე ილაპარაკოს, ჩვენ მათ ვეუბნებით: საქართველოს ძირეული საკითხი, საკითხი ასეთი თუ ისეთი ფორმალური სახეობისა—არის საკითხი მშრომელი ხალხის მიერ არჩეული ხაბჭოებისა და ვიდრე არ შემდგარა საქართველოს ბატონ-პატრონი, მუშათა პარლამენტი—საბჭო მანამდის არავის შეუძლია დაარღვიოს ის ფორმა, რომელიც დღემდე აქვს საქართველოს.

ეს ყველამ უნდა იცოდეს.

თედო ღლონტი.

## რაშია საქმე?

„პრავდა გრუზია“ № 31 მოწინავე წერილში არკვევს საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის საჭიროებას და ამბობს: **„საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია უკვე მომხდარი ფაქტია“.**

„კომუნისტი“ კი იმავე 7 აპრილის № 30-ში წერილში „დამოუკიდებლობა“ ეხება საქართველოს დამოუკიდებლობას და ასე დაასკვნის: **„მენშევიკებთან ერთად მოკვდა ფიქტიურად თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო და იშვა საქართველო, როგორც მშრომელთა სახელმწიფო, ნამდვილად დამოუკიდებელი და სუვერენული“.**

ჩვენ ვკითხულობთ: ვის დავუჯეროთ?

თ.

## ახალ საზღვართან.

1.

რევოლუციის ხანაში მეტად ძნელია ამა თუ იმ საკითხის შესახებ კატეგორიული პასუხის გაცემა. ახალ-ახალი შემთხვევები თუ მოვლენები საოცრად დიდ და ძნელ მასალას იძლევიან ტაქტიკის თუ პრინციპის შესაფასებლად, ან და წასამართავად. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ რევოლუცია არის უდიდესი მასწავლებელი. ღრმა დაკვირვება არ სჭირდება იმის დანახვას, თუ [illegible]ად და საფუძვლიანად ათვი[illegible] ხელმძღვანელი, ის ფართოთ საზოგადოებას ახალ-ახალ მოვლენებს და აკეთებინებს იმ საქმეს, რაზედაც რევოლუციამდე ოცნებობას თუ გავბედავდით. ამის საუკეთესო საბუთი, დღევანდელი ქვეყნის დიდი ძვრაა და ის მეტამორფოზები, რომელნიც საოცარი აჩქარებით სცვლიან ერთი მეორეს. ხოლო სადაც არის სწავლა, იქ უნდა იყვეს გამოყენებაც.

გამომყენებელი კი—ადამიანია, როგორც ისტორიულ პროცესის უმთავრესი რეალური აგენტი. საკითხია: **რა გვაჩვენა რევოლუციამ, რა გვაკვეთილა გვაძლევს და რა პერსპექტივას წინ დაგვაყენა?** რთული კითხვები არიან, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ მთავარ ღერძს, რომელსაც უტრიალებს კაცობრიობის აზრი და ხელი, თუ შევისწავლით რევოლუციის მთავარ მოტივს, ზემოდ დასმულ კითხვების პასუხებიც თავის-თავად მოიცემიან.

დღევანდელი სოციალ-პოლიტიკური ბრძოლისა და შემოქმედების დიდი აგენტი—მშრომელი ხალხია. ამ კაცობრიობის დიდმა ნაწილმა კარგა ხანია რაც დაიწყო ბრძოლა, და აი, უკვე მოვედით იმ ხანამდე, როდესაც ძველი იდეიური კონცეპციები რეალიზაციას მოითხოვენ, როდესაც სინამდვილე აღმგზნები თეორიების პრაქტიკულ გამოყენებას გვიბრძანებს.

ისტორიულ კიბის შემდეგ საფეხურებზე ასულთ, აღარ გამოგვადგება ძველი პასუხებით დაკმაყოფილება. ცხოვრება წინ მიდის, ყოველგვარი საზოგადოებრივი მოვლენა ახალ-ახალ სახეებს იღებს, და ბრძოლისა და შემოქმედებისთვისაც ახალი პოზიციები ჩნდებიან.

„მუშათა ბატალიონების ყრუ ფეხის ხმა“ უკვე გადიქცა სალაშქრო მარშად, რასაც ხელს უწყობს დროის ზოგადი პირობები.

თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრება დაჭიმულია, ინტენსიური. ხერხიანია ჩვენი საუკუნე, დაუდეგარი, აჩქარებული. ცხოვრების ყველა ფორმა უნდობლობის იერს ატარებს. როგორც ეკონომიური, ისე ფსიხოლოგიურ—ინტელექტიური სფეროები დაიდაღნენ ამ თვისებებით.

ყველაფერი შეიძლება: მეურნეობა, მეცნიერება, ხელოვნება, ზნეობა. ყველგან „დირექტორებათა ხელ-ახალი შეფასების“ პირველი წადილია; ყველგან ფეხს იკიდებს ცხოვრების ფორმათა გარდაქმნის სიადვილის იმედი. ამ იმედს ჰქვეშავს თანამედროვე სანახაობა, გუშინდელი ოცნება და დღეს კი უკვე მოქცეულებული სინამდვილე. და გვეჩვენება თითქოს უკვე ხელთა გვაქვს ყველა იარაღი ცხოვრების გარდასაქმნელად, თითქოს მზად არიან სოციალიზმისთვის საჭირო ყველა ელემენტები.

ან და თუ სოციალიზმისთვის საჭირო ელემენტები ჯერ არ არიან მზად, რაც სიმართლეს უფრო შეეფერება, სამაგიეროდ ეჭვს გარეშეა, რომ უკვე მომზადებულია ნიადაგი, რომელზედაც ძლიერად იშლება სოციალური მოძრაობა. არის პუნქტი, რომელიც მშრომელმა ხალხმა მიზანში ამოიღო,—არსებული საზოგადოებრივ წყობილების გარდაქმნა სოციალიზმის ნიშნის ქვეშ, და ამ მიზნის მისაღწევად უკვე ჰმოქმედობს ეს დღემდე უჩინარი გიგანტი.

ასეთია თანამედროვე ვითარება. ყოველი მოქმედი ადამიანი თუ ჯგუფი, თუ მას ჰსურს ცხოვრების ამ გარდატეხაში აქტივობა გამოიჩინოს, მოვალეა ყველა ამას ანგარიში გაუწიოს, და თავისი საქმიანობა არსებულ და შესაძლო კატეგორიებს შეუფარდოს. და ჩვენც, უპირველეს ყოვლისა უნდა გავიგოთ და მივიღოთ დებულება, რომ ჩვენ წინ გადაშლილია საყოველთაო ისტორიული დიდი ამბავი. ჩვენს გარშემო ჰხდება მსოფლიო ისტორიის ერთი დიდი ორგანიული პროცესთაგანი, და ამ მოძრაობის სათავეში უნდა ვიყოთ. ყური უნდა დაუგდოთ ისტორიის პულსს, და სოციალისტურ შემოქმედებას უნდა მოვკიდოთ ხელი. აი ამ სფეროში სდგას დღეს საკითხი, და აქ გამართლებს ჩვენი შეხედულების კიდევ ერთხელ გამორკვევა.

* *

ისტორიის პარადოქსი დღეს ასეთია: მონარქიზმი და მშრომელი ხალხ[illegible] და იმავე დროზე მიემართ[illegible] და ამავე დროს [illegible] ლნი ბრძოლის ასპარეზზე [illegible]

ამ პარადოქსს ახსნა სჭირდება. ამისთვის კი მეოცე საუკუნის საზოგადოებრივ აზრის ანალიზია საჭირო. ვნახოთ. მეცხრამეტე საუკუნემ მემკვიდრეობათ ადამიანის განთავისუფლება მიიღო. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ აღძრულმა საკითხმა ბონაპარტის ამაყ თავზე გადმოიარა, და მთელ ევროპას მოედო. და ამ თავისუფლებას მოკლებული ყველა ელემენტი შეუდგა ბრძოლისათვის სამზადისს, რომ კორსიკელ ავანტიურისტის მიერ ძირს დაგდებული შტანდარტი კვლავ მაღლა აეწია. ვინ იყვნენ ეს ბრძოლის სურვილით ანთებულნი? ჯერ ხალხის უმრავლესობა, მშრომელი ნაწილი, და შემდეგ დამონებული ერები. თავისუფლებისთვის ორივე მხარე მზად იყო დაენთხია სისხლი, ოღონდ მონობის სიმბოლო ბასტილია კი საბოლოოდ განადგურებინათ. და აკი იფეთქა კიდეც დიდმა პროტესტმა. იფეთქა ყველგან. ეს იმავ დროს, როდესაც ევროპის მონარქიები ბურბონთა დინასტიის რესტავრაციაზე ოცნებობდნენ, ინგლისში რადიკალები აწყობენ ხალხის ღელვას, ფარული კომიტეტები მრავლდებიან, მთავრობა მანჩესტერის მუშებს ჟლეტავს მრავალრიცხოვან მიტინგზე, რადიკალური ლიტერატურა იზრდება, და ბაირონ-შელლი იტალიიდან უგზავნიან წყევლა-კრულვას ინგლისის ჯალათებს. საზოგადოებრივი აზრი მზადდება თან-და-თანობით. აბოლიციონისტები თხოულობენ შავ მიწათა სრულ განთავისუფლებას, და მიზანსაც აღწევენ. ინგლისი, შინაგანი, ორგანიული ზრდით ემზადება დიდი თავისუფლებისათვის.

გერმანიაც ემზადება ახალი გზისთვის. ახალი გონებრივი მიმდინარეობანი რეალიზაციას მოითხოვენ და 1830 წელს გერმანიაც იხდის რევოლუციას. სამხრეთის ლიბერალები განსაკუთრებით ხმაურობენ. ბავარია, ნასსაუ, ჰესენ-დარმშტადტი. დემონსტრაციებში იხრჩობიან. დეპუტატები განგაშებენ. მარცხდება რევოლუცია, მაგრამ კვლავ ჩნდებიან ახალ რევოლუციის წინამორბედები. ფეიერბახი და ბრუნო-ბაუერი ათეიზმს ჰქადაგებენ, შტირნერი [illegible] მოძღვრება ვარდება და [illegible] ანარქიზმს დროშა მოაქვს. მუშები [illegible], ლუი ბლანის და პიერ[illegible] ავრცელებენ. მთავრობისა და ხალხის შეტაკებანი ხშირდებიან. ბურჟუაზიას მუშები უფრო ხშირად ღალატობენ. ფიქრები ამბოხებას ჰოაოსნობენ, და ქალაქის მუშათა ფეხის ხმას გლეხობაც ასდევს, უმიწობით ილაჯ გაწყვეტილი.

პარიზი ელექტრონით იყო გაჟღენთილი. ყველა გრძნობდა რომ ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა ცხოვრება. და იმდენად მრისხანე იყო ხალხის ხმა, რომ სჯულიც კი ვეღარ ჰპედავდა მონარქისათვის მხარის დაჭერას. ასევე ჰხდება ავსტრიაში, შვეიცარიაში, სკანდინავიის ქვეყნებში და ოკეანეს გადაღმა. ხოლო მაინც ეს ხალხის სულისკვეთება ყველაზე მძლავრად ისევ საფრანგეთში მჟღავნდება, რევოლუციის კლასიკურ ქვეყანაში, სადაც ვერსალის სასახლე აღარ იყო შიშის დამცემი, და ბარიკადები კი ხალხს შეუყვარდა. იქ, საფრანგეთში, 1814-15 წლებში, რესპუბლიკანური იდეები თუმც გაჰქრნენ, თუმც ლიბერალები დემოკრატიისადმი გულგრილნი შეიქმნენ, მაგრამ უნივერსიტეტის ახალ-თაობაში მაინც ჩნდებიან ახალი რესპუბლიკანური პარტია და ფარული კავშირები.

საზოგადოებრივ აზრს ახალი გაზეთი „ტრიბუნა“ ევლება, და ამ ნიადაგზე თავს იჩენს იულისის რევოლუცია (1830 წ.). სტუდენტები და მუშები ბრძოლას ავანგარდობენ. „ხალხის მეგობრები“ პოლიტიკურ საკითხებს გარდა სოციალურსაც აყენებენ. მარცხდებიან, მაგრამ ეს დამარცხება გამარჯვებას უდრის. მუშათა შორის იწყება კომუნისტური პროპაგანდა. ფარული გაზეთები შეიარაღებულ აჯანყებისათვის მოუწოდებენ. ბერნარი, ბარბესი, ბლანკი—ამ მოძრაობის სარდლები. ეს ერთი მხრივ. არიან კიდევ ე. წ. რესპუბლიკანელ-სოციალისტები. მათ მეთაურობენ ლუი-ბლანი და კაბე. ახალი ქადაგება მასსიურ ხასიათს იღებს, და თებერვლის რევოლუციის სახით იშლება. 1847-48 წწ. გამარჯვების წლებია. მაგრამ დეკემბერში ისევ დამარცხება. რეაქცია მძვინვარებს. იწყება დამუნჯების ხანა. ეს მომზადების ხანა უფროა, რომ კვლავ ეკვეთნენ იმპერიას ახალი ძალით. ინტერნაციონალი. მუშათა დარაზმვა. ინტერნაციონალის დღენი. 1871 წ. კი პარიზის კომუნა კვლავ მაღლა სწევს წითელ დროშას.

პარიზის კომუნაც მალე მარცხდება. მაგრამ ეს დამარცხებათა მთელი რიგი მაინც წინა სწევს საზოგადოებრივ წყობილებას, მაინც ლესავს მშრომელი ხალხის შეგნებას, ამტკიცებს ბრძოლისათვის ნების-ყოფას. და ვაი იმას, ვისაც ამ დამარცხებით თავისი გამარჯვების იმედი აქვს. მძლავრ მომავლის წინაშე აწმყო უნდა სდუმდეს, წარსული კი მთლად უნდა ჩაბარდეს დავიწყების არქივს.

ასეთია ისტორიის სამართალი.

ზემო ნაჩვენები ეტაპები სოციალური და პოლიტიკურ განთავისუფლების პუნქტებია. ეს ბრძოლის ერთი აგენტის მოქმედების ეპიზოდებია. ეს მშრომელი ხალხის წინმსვლელობის, ბრძოლის—დამარცხების და გამარჯვების აღრიცხვაა. ეს დამონებულთა ერთი ნაწილია. დარჩა მეორე ნაწილი: დამონებული ერები. ისინიც იბრძვიან. გადავფურცლოთ მათი ბრძოლის ისტორიის დიდი წიგნიც.

ვახტანგ კოტეტიშვილი.

## ოსმალთა პრესა მენშევიკების შესახებ

ანგორა 16—3. (გრუზავოროსტას სპეციალურ კორესპონდენტისაგან), გაზ. „ისტკიბალი“ შემდეგ სიტყვებს უძღვნის მენშევიკების მთავრობას:

საქართველოს აწ უკვე გარდაცვალებული მთავრობა სულთ ბრძოლის წამს შეეცადა ახალ ბოროტ-მოქმედების ჩადენას და ამით გაათავა თავისი არსებობა. უკანასკნელ წელიწად ნახევრის დროს მენშევიკების მთავრობა მუდამ ორპირი იყო. საქართველო უშლიდა საქმეს ოსმალებსაც და ბოლშევიკებსაც, მხოლოდ უკანასკნელ დღეებში, როდესაც საქართველოს მთავრობა დარწმუნდა, რომ მისი საქმე ცუდათ წავიდა, მან დაიწყო ლაქუცი ანგორას წინ. მენშევიკები ეცადნენ ბოლშევიკები მოესიათ ოსმალეთისათვის, მაგრამ ოსმებმა მშვენივრათ გაიგეს, საიდანაც მოდიოდა პროვოკაცია და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთი ქკუა და წინდახედულობა. ეჭვი არაა, რომ წითელ არმიის სარდლებმა მშვენივრათ გაიცნეს მენშევიკების პოლიტიკა. საბედნიეროთ, ოსმალეთმა და რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს თავიანთ მეგობრობა, რომ [illegible] მათი კავშირი და მეგობრობა შეურყეველია და რომ ამ ერებს ვერ შეაკრთობს ვერავის პროვოკაცია.

## ვალიკო ჯუღელი.

ტრაპიზონი, 21-3 (დეპეშა [illegible] როსტას სპეციალურ კორესპონდენტისაგან).

ჩვენი კორესპონდენტი [illegible] ესაუბრა საქართველოს სახალხო გვარდიის ყოფილ უფროსს ვალიკო ჯუღელს, ბათომიდან გაქცეულს იტალიის გემით „ვერენიკ კრისე კირალი“. ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვაზე, ბევრის წამოღება მოასწრო ტფილისიდან მენშევიკურმა მთავრობამ თუ არას ვალიკო ჯუღელმა უპასუხა:

„ტფილისიდან განძეულის მეტი სხვა თითქმის არა წამოგვიღია რა. ყველა დატვირთული მატარებელი და აგრეთვე მთავრობის საწყობები იქ დაგვრჩა. ეს იმით აიხსნება, რომ არა დრის არა ვფიქრობით ასე მალე და უცებ ტფილისის დაკარგვას. მიუხედავათ ჩვენის დარწმუნებისა, 24 თებერვალს წითელმა ჯარებმა დაიჭირეს სიმაღლე, რომელიც დასცქეროდა მთელს ტფილისს იმ დამით მდგომარეობა იმდენათ გაძნელდა, რომ ჩვენ ძლივს მოვასწარით ტფილისიდან გასვლა. შემდეგ ფოილოდან მართამდე უკანდახევის დროს მენშევიკების ჯარმა ააფეთქა 8 ხიდი. ამან მაინც ვერ შეაჩერა წითელ ჯარების წინსვლა.

მენშევიკების მთავრობის ნაწილი ელოდა რა წინ და წინვე აუცილებლად დამარცხებას, უკვე ადრე წავიდა კონსტანტინოპოლში, ზოგი ნაწილი მიდის ამავე გემით, მთავრობის სხვა წევრთა შორის აქ იმყოფებიან ჟორდანია, მთავარსარდალი და სხვა.

ჩვენი კორესპონდენტის პირდაპირ შეკითხვაზე, მართალია თუ არა ის ცნობა, რომ მენშევიკების მთავრობამ ფრანგებს დახმარება სთხოვა და რომ სწორეთ ამ თხოვნის წყალობით ფრანგებმა ზარბაზანი დაუშინეს შავი ზღვის სანაპიროს, ბოლშევიკების მიერ დაჭერილს, ჯუღელმა უპასუხა:

— მართალია, ჩვენ ნამდვილად ვსთხოვეთ ფრანგებს შველა, ისინიც ფორმალურათ დაგვპირდნენ შველას და დაუშვეს სრული სანაპიროს, მაგრამ [illegible] საქმეების ამ [illegible] ვერ შეიძლებ[illegible].

ჩვენი კორესპონდენტი [illegible] უთხრა იმ საბჭოთა „თავი მტკივამ“.

## მეტაფიზიკოსის დღიური.

ტფილისი, 1921 წ. აპრილის—6-ს, ამ საერთო სათაურს ქვეშ მინდა, ქართველ მკითხველებს ვესაუბრო მთელ რიგ კულტურ-ფილოსოფიურ კითხვებზე, რომელიც კულტურული ადამიანობის წინაშე წამოიჭრა ომისა და რევოლუციების შემდეგ. დღეს, როცა ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური ხელ ახლადშენების მუშაობა სწარმოებს, შეიძლება ბევრს გულდასმით წერა კულტურულ პრობლემებზე უდროვო დროის შენიშვნებად მოეჩვენოს, მე კი ვფიქრობ, რომ კულტურული შემოქმედება მუდამ პარალელურად უნდა მიდიოდეს პოლიტიკური მუშაობასთან. აწ შექმნილ მდგომარეობაში ჩვენ უნდა გავაორკეცოთ ჩვენი კულტურული საქმიანობა. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ვერც ერთი პოლიტიკური სიტუაცია, ვერც ერთი სახელმწიფოებრივი ფორმა სტაბილური ვერ იქნება. ეს თვით ეპოქის დემონის მოუსვენარი ხელის საქმეა. ქართველობისთვის დღეს ყველაზე მწვავე დგას კულტურული შემოქმედების პრობლემა, რადგან არც ერთი იარაღი არაა ისე სანდო და უცილო როგორც კულტურული. ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა საერთაშორისო ოჯახში მუდამ ჟამს ჩვენ კულტურულ უპირატესობათ უნდა დაეყრდნოს, რადგან ყველა კოსმიურ ელემენტებს შორის უმკვიდრესი სუბსტანცი ეს ინდივიდუმისა და ერის სული გახლავთ, ხოლო სულსა და კულტურას შორის ისეთივე დამოკიდებულება არსებობს როგორც ყაჰსა და აბრეშუმს შორის.

I უმართებულო სკეპტიციზმი.
(უძღვნი გერონტი ქიქოძეს).

მიუხედავათ იმ ავტანელი ტკივილებისა, რომელსაც ყოველ მოაზროვნესა და მგრძნობიერს ჩვენი დრო აყენებს, უნდა გითხრათ რომ ერთის მხრით საინტერესო დროში გვიხდება ცხოვრება. ჩვენ თვალწინ ირღვევა საუკუნოებრივი ტრადიციებით განწმენდილი ნორმები როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ხელოვნური, მორალური თუ ფილოსოფიური.

ეპოქის დემონის მოუსვენარი სული მოითხოვს ერთის დაკვრით ღირებულებათა გადაფასებას. რევოლუცია სახელმწიფოში, რევოლუცია ხელოვნებაში. თვით ჩვეულებრივად დინჯად მავალ ფილოსოფიურ აზროვნებაშიაც ერთგვარი გადატეხა, ღმერთების მწუხრი იწყება. ადამიანის აზროვნება, თითქოს მწუხრის ბინდით იმოსება, ასეთ დროს კარზე სდგანან პესიმიზმი და სკეპტიციზმი. ირაციონალიზმი ფილოსოფიაში, ირაციონალიზმი სულოვნებაში.

გულ აფორიაქებული გამოვედი შარშან, სექტემბრის 15-ს ბერლინელ დიუსელდორფელ ხელოვანთა კავშირის მიერ გამართულ გამოფენიდან, სადაც რამოდენიმე ათასი ახალი ხელოვნური ქმნილებანი გამოეფინათ გერმანელ ექსპრესიონისტებს. რა ხდებოდა დარბაზში? ჩემ თვალწინ ერთი მწვანე სათვალეებიანი ლეიტენანტი მუშტებს უღერდა ერთ ექსპრესიონისტის სურათს.

მართლაც და ჩემს დღეში ასეთი უჩვეულო ფერადების კომბინაცია არ მინახავს. მსოფლიო ომში დაღვრილი ალისფერი სისხლი, რიურაქის მუქლურჯი, რომელიც ომში მონაწილე მხატვრებს უნახავთ ალბად წინა ღამის ბივაკის უძინარი თვალებით. თვალები აპოკალფსურ ცხენებით გაგიჟებულ კავალერიის ცხენებისა. არც ბერძნულ ჰ. დესსის მომგონ ფანტაზიას, არც კალფპსოს კუნძულზე, არც ალიგერით დანტეს ჯოჯოხეთში, არც მიქელ ანჯელოს სიქსტინელ განკითხვის დღეში ასეთი ფერადები არ მინახავს!

გამოფენიდან გამოსულს გულში ჩამრჩა რაღაც უჩვეულო, ჩუმი დარდი, მაგრამ ფერადები სისხლისა და ბოროტი არხიდეების ცისფერ ნუგეშის სხივად ბჟუტავდნენ ჩემს სულში. საერთო შთაბეჭდილება ბოლოს ეს იყო, რომ აუტანელი ტკივილით განაწამები ხელოვანის გულში გარიჟრაჟის მწუხრი შეჰრილა, გაიელის ბინდი გარიჟრაჟისა და ისევ სიცოცხლის და მშვენების კდემით შეიმოსება გოეთესებური „ოქროს ხე სიცოცხლისა“. ასეთივე ღმერთების მწუხრია გერმანულ ახალ ფილოსოფიაში.

ახალგაზდა ოსტვალდ შპენგლერის კაპიტალურმა შრომამ „Der Untergang des Abendlandes“—დასავლეთის დაღუპვა. დღეს, მოზარდ ახალთაობისათვის აპოკალეპსური წინასწარმეტყველობად იქცა. შპენგლერი სკეპტიკურად შესცქერის დასავლეთის კულტურის მომავალს. შპენგლერისაგან სრულიად დამოუკიდებლად ჩვენს ლიტერატურაშიაც გაისმოდა ამ უკანასკნელ წლებში[1]) ასეთი სკეპტიციზმის ხმა. ამ წიგნს გამოეხმაურენ როგორც ინგლისში, საფრანგეთში ისე იტალიაში. ბენედეტო გროსსემ მთელი წიგნი უძღვნა შპენგლერის ნაწერს. შპენგლერის წიგნთან პარალელურად გამოვიდა შვეიცარიელ პოეტის ჰერმან ჰესსეს „ქაოსის პერსპექტივა“. იტალიელი ჯიან ბატისტა ვიკოც გამოეკამათა შპენგლერს.

შპენგლერის, მართლაც და ფენომენალურად დაწერილი წიგნი, ერთგვარი ცდაა „მსოფლიო ისტორიის ესთეტიკისა.“

შპენგლერის დიალექტიკა ჩვენ ჰეგელის ისტორიზმს მოგვაგონებს. ჰეგელმა უანდერძა ჩვენს დროს დაუშრეტელი წყურვილი მსოფლიო ისტორიის სპეკულატიურ გაგებისა. შპენგლერი უარყოფს იმ გზას, რომელზედაც ჰეგელმა კარლ მარქსი მიიყვანა, განზე რჩებიან გეორგ ზიმელი, ვინდელბანდი და რიკერტი. შპენგლერის წიგნი ერთგვარი ცდაა ისტორიულ ფილოსოფიურ წინასწარმეტყველობისა. იგი ცდილობს მთელი ადამიანობის კულტურის აზრი და ბოლო მიზანი შეიგნოს.

ჰეგელის ძიების შედეგი ერთგვარი ჰოსთქმა იყო. ჰეგელის რეზულტატი იყო: მთელი მსოფლიო განვითარების, ადამიანობის პროცესის საბოლოვო მიზანია: მსოფლიოს ფორმად ქმნა. მსოფლიო ლოგოსი თავის უალრესს და უკანასკნელ ფორმაქმნაში აბსოლუტურ თავისუფლებამდი მიგვიყვანს. მსოფლიო გონების უკანასკნელ სტადიათ მას კონსტიტუციონალი სახელმწიფო მიაჩნდა. ამ განვითარების სტადიაში სწყდება წინსვლა მსოფლიო სულის განვითარებისა ჰეგელისათვის აქ დამყარდება განსვენება ყოველივე ქმნისა. (Werden.) აბსოლუტურული სული ისვენებს. შპენგლერისათვისაც ჩვენი თანამედროვებასაც მიღწეული აქვს ის საზღვარი, რომლისთვისაც უნდა მიეღწია აბსოლუტურ სულს. ეს არის უფსკრულთან მისვლა. ეს არის ევროპიულ ცივილიზაციის ბოლო და აღსასრული მწუხარი ღმერთებისა. ამ აღსასრულს აკლია აბსოლუტურის „ქუალიტეტი“, იგი არ არის მარადიული სიკვდილი კოსმიურ მთლიანობისა.

შპენგლერის დიალექტიკის მთავარი ძარღვია რელიტივიზმი.

დასავლეთ ევროპიული კულტურა, რომელსაც შპენგლერი ფაუსტურ სულს, ფაუსტურ კულტურას უძახის, ეს როდია ერთად ერთი პირველ ფენომენი, არამედ პირველ-ფენომენი მრავალთა შორის. ხოლო ამ პირველ ფენომენის აღსრულება არ მოასწავებს ზოგად ადამიანურ კულტურის აღსასრულს. შპენგლერი ამბობს, რომ რომანულ-გერმანული სამყარო მომწიფდა იდეურად, დაიშრიტა, იგი უნდა მოკვდეს და ადგილი დაუთმოს ახალ კულტურულ ფენომენს, რუსულ—აზიატურს.

უნდა აღინიშნოს რომ შპენგლერი სრულიად შეუსაბამოდ ხმარობს ამ ტერმინებს. რას ნიშნავს რუსულ-აზიატური? იგი თვითვე ილაშქრებს თავის წიგნში სიტყვა ევროპის როგორც კულტურული ფენომენის გამომხატავ მცნების წინააღმდეგ. ჩვენ სრულიადაც არას გვეუბნება სიტყვა რუსულ-აზიატური. თვით სიტყვები: აზია, ევროპა, კულტურულ კატეგორიებად გაგებული არაფერს შეიცავს. აზია, გეოგრაფიული მცნებაა და არა კულტურ—ისტორიული. ან რა საერთო აქვს ინდოეთს ოსმალეთს, სპარსეთს და თუნდ რუსეთს ერთმანეთთან? როგორ შეიძლება ამდენ ერთიმეორისაგან, განსხვავებულ ერთეულების ერთ მცნებაში შეთავსება. ეს სხვათა შორის. ჩვენ საგანთა და იდეათა შინაგან კონსტრუქციაზე უნდა გადავიდეთ.

როგორ ასაბუთებს შპენგლერი ევროპის ცივილიზაციის, მისი ტერმინით ფაუსტური სულის აღსასრულამდის მისვლას?

მისი დასაბუთება შესდგება სამი ნაწილიდან.

ახალი მცნება ისტორიისა.

ახალი მანერა ისტორიოგრაფიისა.

ახალი მეთოდით მომავლის გაგებისა.

ისტორიას დღემდის შესცქეროდნენ როგორც კონტინუერულ ქმნის პროცესს, რომლის დასაწყისს ანტიკაში ეძებდნენ, ხოლო დასასრულს თანამედროვეობაში. ამ ისტორიის ინდენტიური სუბიექტი—ეს აგრედ წოდებული ევროპიული ადამიანობა იყო. ეს კონტინუერი წინსვლა არ იცნობდა განვითარების შეწყვეტას, ანტიკა, საშუალო საუკუნეები და ახალი დრო. დასავლეთის ისტორია ერთგვარი პრელიუდიუმია ევროპის ისტორიისა. ერთგვარი გარიჟრაჟი, [illegible] ლო ბერძნული—მზის ამოსვლა.

შპენგლერი სამართლიანად შენიშნავს რომ ევროპიული ადამიანობის ისტორია, არ უნდა გავიგოთ როგორც მსოფლიო ისტორია. ეს ძველი ისტორიზმი შეედრება ძველ პტოლომეისებურ მსოფლიო სურათს. უარ ვყოთ პტოლ[illegible]

1) საქართველოში გერონტი ქიქოძეს გამოყავს ანალოგიური დასკვნანი. შპენგლერისათვის აღმოსავლეთ ევროპაშა იშვება ახალი პოტენციები, გერონტი ქიქოძეს ჰგონია რომ მცირე აზიაში, საერთოდ აზიაში, ამოვა მზე ახალი კულტურისა. იგი სოციალისტების მოსვლას საქართველოში დანგრეულ ბიზანტიიდან იტალიაში გაქცეულ სქოლასტიკოსებს ადარებს. მე კი მგონია რომ ანალოგია სწორი არაა. ეს იყო უბრალო, ექზოტიური სანახაობა მოწყურვებულ ინტელიგენტების ექსკურსია მეტი არაფერი. იხ. მისი ფელეტონები სახ. საქმეში. „წერილები უცნაურადმი“ და ბროშიურა „პოლიტიკური წერილები“. ქ. მ.

31 ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუთუ სიმხდალეა?

ჩვენი ორგანო „სოც.-ფედერალისტი" მენშევიკური პოლიტიკის კრიტიკასა და ანალიზზე აშენებს მომავალ ხაზს ქართული ერისა და მისი მშრომელი კლასის სახელმძღვანელოთ; და როცა ამ სრულიად გასაგებ და ნორმალურ გზას ვირჩევთ მომავალი პოლიტიკური კონტურების წარმოსადგენად, ეს ზოგიერთ წრეულს მოაზროვნესაც კი არ მოსწონს. მათ მიაჩნიათ ამგვარი მეთოდი იდეიური ბრძოლისა სიმხდალედ, როცა მოწინააღმდეგეს პასუხის გაცემა არ შეუძლია.

ჩვენ გვესმის პსიხოლოგიური მნიშვნელობა ამგვარი განცხადებისა, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით იგი გაუგებრობად მიგვაჩნია. ცხადია ჯერ განელებული, ან უკეთ მონელებული არ არის მენშევიკური ხაზის მიმდევართაგან ის პოლიტიკური ფინალი, რომლის წინაშე ისინი ისტორიის მსვლელობამ დააყენა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყოველგვარი თუ გინდა ძალიან ლოიალური კრიტიკა მენშევიზმისა ჭრილობაზე თითის კიტინათ მიაჩნიათ; ამიტომ არის რომ გვეუბნებიან ზოგი წრეული მუშაკნიც ცალკე კი, „სიმხდალეს" ჩადიხართო. მაგრამ ეს ხომ გრძნობის მეთოდია და არა პოლიტიკის. პოლიტიკა კი, როგორც საზოგადოებრივ—სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მეცნიერება, არ შეგვიძლია დავუმორჩილოთ გრძნობათა ღელვას, თუ გინდ ეს გრძნობანი სევდის მომგვრელი და გულის დამნაღვლიანებელი იქმნეს ზოგიერთათვის.

საღი პოლიტიკა კი ისეთი პოლიტიკაა, რომელიც სულდგმულობს ყოველთვის ნამყოის მკაცრი კრიტიკით აწმყოს ფუძეთა ჩასაყრელად, რომ მყობადმა მასზე ურყევი კედლები ააშენოს მომავლის მძიმე, მაგრამ ულამაზესი სახურავის დასაჭერათ.

თუ პოლიტიკას ეს პერსპექტივა აკლია და სანტიმენტალურ კეთილშობილებამდის იწევს, ის კარგავს თავის ნამდვილს დანიშნულებასა და საგანს.

რასაც ვამბობთ დღეს, ეს გვითქვამს გუშინ და თუ ეს არ გვეძრახოდა მაშინ, [რო]ცა საკითხი უფრო ფანტვნებულ თე[ორიულ] სფეროში იყო, რად გვძრახავენ [დღეს], როცა ნაციქრალის განადგურებას ვიწყებთ? თუ არ ვცყავით მხდალნი მენშევიკების ბატონობისა, როცა ვებრძოდით მათ რადა ვართ მხდალნი დღეს, როცა ამ პლატფორმას გუშინდელი მეშჩანური პოლიტიკის კრიტიკით უფრო ვააშკარავებთ? რა ვუყოთ რომ მენშევიკებს საშუალება არა აქვთ ჩვენ გვებრძოლონ, რა ჩვენი ბრალია თუ შემდეგ მენშევიკურად მოაზროვნე საქართველოში არავინ იქნება თავიანთ შეცდომათა გაგების გამო?

განა ეს საკმაო საბუთია იმისათვის რომ პოლიტიკა, რომელიც არც მოგვწონდა და არც მიზან-შეწონილად მიგვაჩნდა ქართველი ერისა და მშრომელი ხალხის თვალსაზრისით, არ გავაკრიტიკოთ და დავდუმდეთ? პოლიტიკური თვალსაზრისით სწორედ ეს იქნებოდა სიმხდალე და სილაჩრე. თორემ ნუ თუ სიმხდალეა ის, რომ შენს პოლიტიკური პრიზმაში გაატარო გასაცხრილავი თუ გინდ ყოფილი მოწინააღმდეგე?..

არა გვგონია...

ივ. ხაჩინთელი

...კრი, დასავლეთ ევროპიული ეგოცენტრიული ისტორიზმი.

ისტორიის სუბიექტი, ყველაფერია რასაც ერთგვარი წარსული მოეძევა.

ყოველი ეროვნული ერთეული, რომელიც დროის წესრიგთან დაკავშირებული ყოფილა ოდესმე. დროისადმი დამოკიდებულებაში ორი პრინციპი უნდა გავარჩიოთ. ერთი არსებითი, მეორე არა არსებითი, უმნიშვნელო. უმნიშვნელო დამოკიდებულება აქვს დროსთან ყველაფერს, რასაც განმეორება ატყვია.

კანტის უდიდეს შეცდომათაგანი ის არის, რომ მან ვერ შეიცნო დროის მნიშვნელობა. მას არა ჰქონდა დროის ფუნქცია შეგნებული. იგი იცნობდა მხოლოდ დროს, რომლის გაზომვა შეიძლება, ე. ი. დროს, ყოველივე მეტაფიზიკურ მნიშვნელობას მოკლებულს. დრო უნდა გავიგოთ, როგორც სუბსტანციური ხასიათის მოვლენათა ბარომეტრი.

ამგვარად თუ ისტორიის სუბიექტი შპენგლერისათვის შეიძლება ყველაფერი იქნეს რასაც ერთგვარი არსებობის მანძილი გავლილი აქვს, მაშასადამე ისტორიის სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ არა მარტო ევროპიული ადამიანობა, ან ადამიანობა გენერალურად, არამედ მთელი კოსმიური ძალების კონგლომერატი, მთელი ბუნება. გიოტეც ასე ფიქრობდა. თანამედროვე ბუნების შეცყველება მექანიკურ თვალსაზრისით აქვრეტს ბუნებას. უეჭველია ადამიანური სამყაროში მომხდარი, პირველი რანგის სუბიექტია ისტორიისათვის.

ამგვარად ისტორიის სუბიექტები იმდენი მოიძევა, რამდენიც ცალკე კულტურული ფენომენი. ისტორია არაა ისტორია ერთი კულტურისა, არამედ მრავალი, ერთი მეორეთაგან კარდინალურად განსხვავებულ კულტურათა მოდების, ყოველი მათგანი კი უნდა გავიგოთ, როგორც საგანი თავისთავად— Ding an sich.

იცვლება შინაარსი ისტორიისა, ამასთანავე იცვლება მისი სტრუქტურაც.

(შემდეგი იქნება)

კოწია გამსახურდია.

# ახალი ამბები

— **პოეტი ხუცესიორი** ბეგლარ ახოსპირელი მძიმედ არის ავად. რამდენჯერმე სისხლი ამოუღია, ექიმების თქმით, ტუბერკულიოზის ნიადაგზე. მას სჭირია შესაფერი ბინა, სასმელ-საჭმელი. 20 წელიწადია ენერგიულად და სამაგალითოდ ემსახურება განსაკუთრებით ქართულ თეატრს. საქართველოში, როგორც სუფლიორს მას ბადალი არა ჰყავს. საქართველოს ხელოვნების ცენტრი, „რაბისი" და განსაკუთრებით სოციალ დახმარების სახალხო კომისარიატი მოვალენი არიან მიჰხედონ ხელოვნების ძველ მუშაკს, რომელიც სადღაც, მთაწმინდის ბნელ სარდაფში ლოგინზე მიკრულა, და მშიერი, უყურადღებოდ სისხლიან ხველით ეომება საშინელ სენს.

— **სახალხო მუსიკა.** სახალხო მომღერალ მგალობელთა გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს მიხეილ კავსაძე ისევ შეუდგა სახ. სიმღ-გალ. კურსების გახსნას განათლების კომისარიატის დახმარებით კურსები არის 3 თვიანი და 6-იანი, სადაც ყველას შეუძლიან მიიღოს პრაქტიკული ცოდნა ქართული სახ. სიმღ.-გალობისა. კურსები უკვე გახსნილია და მოქმედებს რუსთაველის პრ. № 17. მუშათა სასახლეში მე-5-თე სართულ. ოთახშ. და პარ. სად 6—8 ს.

ახლო მომავალში იქნება მოწვეული დიდი საზოგადო კრება სახალხო მუსიკის მუშაკთა და ყველა საზოგადოთ სახალხო მომღერალთა, მგალობელთა და მცოდნეთა, რომელთაც აზრადა აქვთ შეაკავშირონ და შემოიკრიბონ ყველა სახ. მუსიკის მცოდნეები, ნიჭიერნი ახალგაზრდანი, როგორც ტფილისში, ისე სოფლად და დაუკავშირონ საქართველოს ხელოვნების ცენტრს.

— **ცენტრალურ საბინაო განყოფილებაში.** ცენტრალურ საბინაო განყოფილებაში გამომუშავებულია შტატი ტფილისის რევკომის განყოფილებისა. შტატის თანახმათ განყოფილების სათავეში სდგას კოლეგია, შემდგარი 5 კაცისაგან გადამწყვეტი ხმის უფლებით და სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისაგან სათათბირო ხმის უფლებით.

განყოფილება იყოფა შემდეგ ქვე განყოფილებებათ: სააღრიცხვო-სარეგისტრაციო-სტატისტიკური, სარეკვიზიციო, საფინანსო, სამეურნეო და საერთო კანცელარია.

— **ამხანაგ კალანდარაშვილის განცხადება.** ცენტრალურ საბინაო კომიტეტის კოლეგიის წევრმა ამხ. კალანდარაშვილმა გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს მოგვაწოდა შემდეგი ცნობანი ცენტრალურ საბინაო განყოფილების მოქმედების შესახებ: ცენტრალურ საბინაო განყოფილებას განზრახული აქვს მოაწყოს ანკეტა საბინაო საკითხის შესახებ, რათა გამორკვეული იქმნას საერთო სურათი საბინაო საკითხისა ქ. ტფილისში. ანკეტის პროექტი გამომუშავებულია. საშუალოთ წიდებულია ნორმა საშუალო რაოდენობის ერთი ოთახი ორ სულზე ამასთანავე მშრომელი ინტელიგენცია და საექიმო პერსონალის პირნი შეძლებისდაგვარათ განთავისუფლდებიან ჩასახლებისაგან. საბინაო საქმის მოსაწესრიგებლად განზრახულია სახლების, ბინების და ოთახების საერთო გამოკვლევა და მათი აღრიცხვა. ამის გამო განზრახულია რეორგანიზაცია საბინაო კომიტეტის პრეზიდიუმისა, რომელშიაც მოხვდნენ არა დემოკრატიული ელემენტები. საბინაო განყოფილება ადგენს საგანგებო ინსტრუქციას ხსენებულ განყოფილებისათვის. ამას გარდა იმუშავებს ინსტრუქციას სარაიონო ინსპექტორებისა. ამჟამად ცენტრალურ საბინაო მთავარ მიზანს წარმოადგენს მუშათა უზრუნველყოფა ისეთი ბინებით, რომელნიც აკმაყოფილებენ ჰიგიენის მოთხოვნილებას. მუშების დაკმაყოფილება ბინებით ხდება პროფკავშირების საშუალებით და ამიტომ ანკეტები საბინაო საქმის შესახებ გაეგზავნა პროფკავშირებს

— საქართველოს სახალხო მეურნეობის თავმჯდომარე დუნტაუ გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან და მის ადგილზე დანიშნა მ. ტოროშელიძე.

— სახელმწიფო დრამის თეატრში დღეს, აპრილის 9-ს პირველად სეზონში „დალატი" მთელი დასის მონაწილეობით. რეჟისორობს ალ. წუწუნავა. კვირას, აპრილის 10-ს მესამეჯ „დამნაშავეე".

— **საქართველოს ხელოვანთა კავშირი.** დღეს, შაბათს, აპრილის 9-ს, მეორე ქართულ კლუბში (დღევანდელი მეორე სახალხო აუდიტორია) ხელოვანთა კავშირი გამართავს სალამოს შემდეგი პროგრამით: 1. ლექცია: „ხელოვნება მომავალში", წაიკითხავს ი. ნაკაშიძე. შემდეგ კონცერტი—ბალეტი. მონაწილეობენ სახელმწიფო ოპერის მსახიობნი. დასაწყისი სალამოს 7 ნახ. ს. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

— **ცენტრალური საბინაო განყოფილება.** ამ მიზნით პროფკავშირებს წინადადება ეძლევათ აირჩიონ საბინაო სამეული, რომელმაც უნდა გამოარკვიოს კავშირის წევრთა ბინების მდგომარეობა. რკინის გზელებს, ტრამვაის მოსამსახურეებს ეთმობათ უკეთესი სახლები ბაქოს, ტატიანას, ბორჯომის და პეტროგრადის ქუჩებზე, საერთოდ მუშებს დაეთმობა საუკეთესო სახლები ქალაქში.

— **ერთდროული დახმარება მუშა მოსამსახურეებს.** გამოქვეყნებულია ბრძანება № 30, ხელმოწერილი საქართველოს რევკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძის და შრომის სახალხო კომისრის ლ. დუმბაძის მიერ, რომლითაც წინადადება ეძლევა საქართველოს რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს მიეცეს ამ ბრძანების გამოქვეყნების დროს სამსახურში მყოფ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც არ მიუღიათ ყოფილ მენშევიკურ მთავრობისაგან მარტის კუთვნილი ჯამაგირი— დახმარების სახით ათი ათასი მანეთი. მომავალში აკრძალულია ყოველგვარი დახმარების გაცემა, შრომის სახალხო კომისარიატის ბრძანებათა გაუთვალისწინებლად.

— **შრომის სახალხო კომისარიატში.** მეწარმეობლის დაპატიმრების უფლება. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ იქონია მსჯელობა იმ მეწარმეებელთა დაპატიმრების შესახებ, ვისაც არა სურს თავის მუშების და მოსამსახურეების დაკმაყოფილება, და დაადგინა, მიეცეს უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში იმ მეწარმეებელთა დაპატიმრებისა, ვინც არ აკმაყოფილებს მუშებსა და მოსამსახურეებს, შრომის სახალხო კომისარიატის საკონფლიქტო განყოფილების გამგეს.

— **დახურულ წარმოებათა მუშების და მოსამსახურეების დაკმაყოფილება.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა, რომ უსაქმოდ დარჩენილი მოსამსახურენი იმის გამო, წარმოება გადავიდა სახელმწიფოსთან საბჭოთა ორგანოების ხელში, იღებენ სალიკვიდაციო ფულს ახალ პატრონისაგან. იმ შემთხვევაში, როცა სალიკვიდაციო ფულს იხდის სახელმწიფო, პირველი ნახევარი ხვედრი ფულისა ეძლევათ ეხლავე, ხოლო მეორე ნახევარი ერთის თვის შემდეგ, თუ ამ დროს განმავლობაში მუშამ ან მოსამსახურემ ახალი სამუშაო ან სამსახური არ იშოვნა. იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო, ან ორგანო, რომლის განკარგულებაშიაც ან საკუთრებათ გადავიდა წარმოება, აძლევს მეწარმოებელს წარმოებისა და ინვენტარის ღირებულებას— სალიკვიდაციო ფულს აძლევს მუშებსა და მოსამსახურეებს უწინდელი მეწარმოებელი.

# სოც.-ფედერ. პარტიაში

**კრება ავლაბარში.** კვირას, 10 აპრილს, სად. 5 საათზე ავლაბრის პარტიულ ბიუროში (კახეთის ქ. № 2) შესდგება ავლაბარში მცხოვრებ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრთა საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს დრ. მთავარ კომიტეტის წევრი, და განხილული იქნება საორგანიზაციო საკითხები. დასწრება ყველა წევრისათვის სავალდებულოა.

# ხელოვანთა სასახლეში

აპრილის 6 და 7 ხელოვანთა სასახლეში შესდგა სხდომა ახლად არჩეულ საქართველოს ხელოვანთა მთავარ კომიტეტისა. სხდომას ყველა წევრი დაესწრო.

არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეთ სამსონ ფირცხალავა თავმჯდომარის ამხანაგად პაოლო იაშვილი და ხაზინადრათ ვარლამ რუხაძე, მთავარი კომიტეტი უკვე შეუდგა თავისი მომავალი მოქმედების გეგმის შემუშავებას.

# რადიო

**ოსმალების გამარჯვება ბერძნებზე.**

**რომი.** გაზეთ „პოსტ"-ის სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ ოსმალებს წილად ხვდათ დიდი გამარჯვება ესკი-შეხირის რაიონში. ბერძენთა მთელი დივიზია ტყვედ ჩაუვარდა. ქემალის ცხენოსნები მტერს მისდევენ.

**კარლოს გაბსბურგელის ავანტიურის გამო.**

**რომი.** ბუდაპეშტიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ეროვნულმა საბჭომ ერთხმად ხმა მისცა რეზოლიუციას, რომელშიც გამოთქმული იყო პროტესტი ყოველივე ცდის წინააღმდეგ პოლიტიკური არეულობის გამოსაწვევათ და მთავრობას წინადადება მისცა მიიღოს ყოველივე ზომები.

**პორტუგალიის „უცნობი ჯარის კაცი".**

**ლისაბონი.** დიდი ცერემონიით ჩატარდა პორტუგალიის „უცნობ ჯარის კაცის" დაკრძალვა. ცერემონიას დაესწრნენ წარმომადგენელნი საფრანგეთიდან მარშალი ჟოფრი და იტალიიდან ყოფილი მთავარ-სარდალი გენერალი დიაზი.

**სამხედრო მოგება სახელმწიფოს სასარგებლოდ.**

**რომი.** „ოფიციალურ გაზეთ"-ში გამოცხადებულია დეკრეტი, რომლის თანახმადაც სამხედრო მოგება სახელმწიფოს სასარგებლოდ რჩება.

**ტრიპოლიტანიაში სამხედრო წესების მოხსნა.**

**რომი.** გამოცხადდა ტრიპოლიტანიაში სამხედრო წესების მოხსნის დეკრეტი.

**რუსეთი და ევროპა.**

**ლიონი.** აპრილის 4. საფრანგეთის პრესსა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობა-მრეწველობის საკითხს, ამ ჟამად ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ევროპასა და საბჭოთა რუსეთი ეწყება საფინანსო-საეკონომიო კავშირი. საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა მისცეს უცხოელებს კონცესიები. რომლებიც განზრახულია გავრცელდეს სხვა და სხვა მსხვილ საფაბრიკო საქარხნო წარმოებაზე. ევროპისათვის და საბჭოთა რესპუბლიკებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ უდიდესი ყურადღება მიექცეს საბჭოთა რესპუბლიკების ბუნებრივ სიმდიდრეს.

**კომუნისტების გამარჯვება**

ყაზანის ოლქის სტანციებში არჩევნები დამთავრდა კომუნისტების გამარჯვებით, რომლებმაც ხმების დიდი უმრავლესობა მიიღეს.

**ფრანგების ზარალი.**

**ანგორა,** მარტის 24. ადანის ფრონტზე მომხდარ ბრძოლების დროს ფრანგებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მრავალ დაჭრილთა ნაწილი გადაიყვანეს ბერსინაში.

**აღმოსავლეთ ფრონტზე**

**ანგორა,** მარტის 23. ოფიციალურად იუწყებიან: საფრანგეთისა და იტალიის ჯარებს ბრძანება მოუვიდათ საერთო უკან დახევის შესახებ.

— ანგორის დიდი ეროვნული კრება ოფიციალურად იუწყება: ქალ. ადანის და მის ვილაეთის მცხოვრებლებმა პროტესტი განაცხადეს ფრანგების წინააღმდეგ, რომლებიც პლებისციტის დროს ძალით ართმევენ ხმებს.

**აზერბეიჯანის [...]**

**[...]მისარიატის მოქმედება**

**ბაქო,** 4 [...] (...კორ.) აზერბეიჯანის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწყებული მოლაპარაკება სპარსეთის შაჰის მთავრობასთან წესიერ სავაჭრო ურთიერთობის განახლების შესახებ სასურველად დამთავრდა. ამ ჟამად აზერბეიჯანის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გაგზავნა სპარსეთში ორი სავაჭრო ექსპედიცია. ექსპედიციას მიაქვს სავალიუტო საქონელი გასაცვლელად —ნავთი ბიტონებში, ოქრო, ბრილიანტები, სპარსულ ქურქლებში სასმელები და სხვა. ექსპედიციას მინდობილი აქვს დაამზადოს, რაც შეიძლება, მეტი ბრინჯი, გამხმარი ხილი და განსაკუთრებით უნდა მოაგვაროს წესიერი სავაჭრო ურთიერთობა შაჰის სპარსეთთან. ენზელში და რეშტში წინად გაგზავნილმა ექსპედიციამ უკვე დაიწყო მოქმედება და კიდევაც გამოგზავნა ბაქოში ნაყიდი საქონელი. ამ ექსპედიციების წყალობით სასურსათო კრიზისი ა. ს. ს. რესპუბლიკაში მოკლე ხანში ძლეულ იქმნება.

**სოციალისტები ამარცხებენ**

**რეველი.** 3—4. ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარედ არჩეულია სოციალისტი.

**უმუშევრობა ამერიკაში.**

**რიგა.** 2—4. შეერთებული შტატების მთავრობამ, ამერიკაში გამეფებულ უმუშევრობის გამო, უცხოელ მუშათა ამერიკაში შესვლა აკრძალა.

# † ილ. ლორთქიფანიძის ხსოვნას.

ამ დღეებში პედაგოგიურმა წრემ დაკარგა თავისი დაუღალავი მუშა და დამსახურებული მასწავლებელი ილ. ლორთქიფანიძე. დღევანდელ მომენტში, როდესაც უნდა მოხდეს ქართველ ინტელიგენტთა ძალების სრული მობილიზაცია, დღეს, როდესაც ქართველი ხალხი განიცდის სულიერ კრიზისს და საჭიროა დიდი ენერგია—ასეთ დროს ილარიონისთანა ადამიანის დაკარგვა მეტად მძიმეა და განსაკუთრებით საძნელოა იმ დარგისათვის, სადაც განსაკუთრებული მუშაობდა.

ილარიონი დამსახურებული მასწავლებელი და გამოცდილი ადმინისტრატორი იყო, რომლის მოვალეობასაც წმინდად ასრულებდა უკანასკნელ წუთებამდე მთელი 33 წლის განმავლობაში. განსვენებული ილარიონი დიდ გამონაკლისს შეადგენდა ქართველ ინტელიგენტთა წრეებში; მას ახასიათებდა საქმიანობა და დიდი მტერი იყო ბევრი სიტყვის, რეკლამებისა და საზოგადოთ ყოველივე გარეგნობის: ის, რასაც სხვები ამბობდენ—ილარიონი საქმით აკეთებდა.

განსვენებული ილარიონი დაიბადა 1863 წელს სოფ. დიდ ჯიხაიშში, სადაც მან თავისი ბავშობა გაატარა, წერა-კითხვა ილარიონმა შეისწავლა დედის წყალობით. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1883 წელს. გიმნაზიის დამთავრებისას გაემგზავრა მოსკოვში და შევიდა ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტზე. უმაღლესი სწავლა დაამთავრა 1888 წ. მათემატიკურ მეცნიერების კანდიდატის ხარისხით. აქედან იწყება განსვენებულის მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზე. პირველად მან დაიწყო თავისი მუშაობა ქუთაისის ყოფილ სააზნაურო სასწავლებელში; შემდეგ გადავიდა ბაქოში და იქ ასწავლიდა რეალურ სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში.

ბაქოდან გადმოყვანილ იქმნა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ინსპექტორად და შემდეგ ტემირხანშურაში ამავე თანამდებობაზე. ტემირხანშურიდან ილარიონი დანიშნულ იქმნა ყარსში რეალურ სასწავლებლის დირექტორად და 1908 წ.—კი გადმოყვანილ იქმნა თბილისში ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორად, სადაც ის მსახურობდა უკანასკნელ დღემდე.

განსვენებული ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას სხვა და სხვა სა-

